პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური

ბ / 1259 - 2024

31/12/2024

თბილისი

ბრძანება

პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2025 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტის და „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 1 მარტის №34 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-6 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებები“ (დანართი №1).
2. თანდართული სახით დამტკიცდეს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმა“ (დანართი №2).
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის გეგმური ინსპექტირების დეპარტამენტმა და სამართალდამცავ ორგანოებზე ზედამხედველობის დეპარტამენტმა, ამ ბრძანების დანართი №2-ით განსაზღვრული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების დაწყებამდე, შემოწმების ფარგლები განსაზღვრონ ამ ბრძანების დანართი №1-ით დამტკიცებული, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმებების 2025 წლის გეგმის ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით.
4. დაევალოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ადმინისტრაციული და ეკონომიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს აღნიშნული ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლელა ჯანაშვილი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი